

## რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

### **შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად*

ბატონო ი.,

საქართველოს სახალხო დამცველს 2020 წლის 2 აპრილს მომართა არასრულწლოვანი დ. ფ.-ს კანონიერი წარმომადგენლის მ. კ.-ს წარმომადგენელმა ს. მ.-მ N4248/20 განცხადებით, რომელშიც მიუთითებს, რომ დ. ფ.-მ ვერ შეძლო ნიუტონის რობოტიკის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა, ვინაიდან მას, შეზღუდული შესაძლებლობის გამო, უარი ეთქვა შეთანხმებული მომსახურების გაწევაზე.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ დირექტორისგან - ი. უ.-სგან. ამასთან, 2020 წლის 8 მაისს საქმესთან დაკავშირებით გაიმართა ზეპირი მოსმენა, რის შემდეგაც მხარეებმა დამატებით წარმოადგინეს წერილობითი პოზიციები.

### **1. ფაქტობრივი გარემოებები**

#### **განმცხადებლის პოზიცია**

2019 წლის 16 ივლისს არასრულწლოვანი დ. ფ.-ს დედამ, მ. კ.-მ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიიღო ინფორმაცია შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ მიერ ორგანიზებული საზაფხულო სკოლის თაობაზე, რის შემდეგაც, განმცხადებლის მითითებით, იგი დაუკავშირდა სკოლას პირობების დასაზუსტებლად. მ. კ.-მ მიიღო დასტური პროექტში დ. ფ.-ს მონაწილეობაზე იმ პირობის უზრუნველყოფით, რომ ბავშვს საზაფხულო სკოლაში გაჰყვებოდა ქცევითი თერაპევტი, ვინაიდან მას, აუტისტური სპექტრის დიაგნოზიდან გამომდინარე, უჭირდა უცხო ადგილას მარტო ყოფნა. განცხადების თანახმად, მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ დ. ფ.-ს ქცევითი თერაპევტი ვერ გაჰყვებოდა, რის თაობაზეც მ. კ.-მ აცნობა სკოლის დირექტორს და მხარეები შეთანხმდნენ, რომ მის ნაცვლად, ბავშვს ბებია გაჰყვებოდა.

2019 წლის 27 ივლისს, საზაფხულო სკოლის დაწყებამდე ორი დღით ადრე, მხარეთა შორის გაიმართა შეხვედრა დეტალების განსახილველად. განმცხადებლის მითითებით, შეხვედრის დროს მ. კ.-ს განუცხადეს, რომ ბავშვის ბებიასთან ერთად ვერ წაიყვანდნენ, ვინაიდან ბებიისთვის ღამის გასათევ ადგილს ვერ უზრუნველყოფდნენ. სკოლა თანახმა იყო, დაებინავებინა თერაპევტი, ტუტორებთან ერთად. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მსგავსი პირობა დ. ფ.-ს საჭიროებებს ვერ დააკმაყოფილებდა, ვინაიდან მას ღამითაც სჭირდებოდა დამხმარე პირი.

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დგინდება, რომ იმავე დღეს მ. კ.-მ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოითხოვა მისი შვილის საზაფხულო სკოლაში წაყვანაზე უარის დასაბუთება. თუმცა, განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულ კორესპონდენციაზე პასუხი არ მიუღია. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ N5316/20 განცხადებაში აღნიშნულთან დაკავშირებით მიეთითა დამატებითი ფაქტები და მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, მ. კ.-მ იმავე ღამით მობილური ტელეფონის მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით სთხოვა სკოლის დირექტორს - ი. უ.-ს, ზემოაღნიშნულ წერილზე პასუხი გაეცა. საპასუხო შეტყობინებაში, შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ დირექტორი მიუთითებს: *ორივე ხომ ვაცნობიერებთ რომ ეს პასუხი გჭირდებათ მორიგი დისკრედიტაციისთვის და მორალური ტერორისთვის, აშკარად თქვენი მიზანი არაა მოვრიგდეთ, შესაბამისად მე აზრს ვერ ვხედავ რატომ უნდა დავხარჯო დრო პასუხზე. შესაბამისად უბრალოდ მითხარით რა უნდა ეწეროს წერილში და პირობას გაძლევთ მაგას დავაკოპირებ და ჩავწერ.* ხოლო, მ. კ.-ს მითითებაზე: *თქვენი პასუხი რაც არის ის მომწერეთ, ი. უ. პასუხობს: აუკაი რა, მოდი არ გინდა ეს თამაში მართლა მაგრად მეზარება.*

როგორც თანდართული დოკუმენტაციით დგინდება, აღნიშნულ კომუნიკაციამდე მ. კ.-მ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია მომხდარის შესახებ და მიუთითა, მათ შორის, ორგანიზატორის მიერ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის საჭიროებების გაუთვალისწინებლობის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული იყო ი. უ., რაზეც მიუთითებს ზემოთ ხსენებული მოკლე ტექსტური შეტყობინების ბოლო ნაწილი: *ერთი თხოვნა მექნება რომ შემდეგში როცა გადაწყვეტთ ისევ ტერორს მიმართოთ მე დამთავოთ და არა ნიუტონის თავისუფალი სკოლა რომელიც ამ შემთხვევაში საერთოდ არაფერ შუაშია გარდა იმისა რომ მაგ შენობაში მოხდა შეხვედრა.* განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია, აგრეთვე, დ. ფ.-ს ინტერესების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ 2019 წლის 12 აგვისტოს წერილი, რომლითაც ი. უ.-ს დამატებით ეთხოვა ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია ბავშვისთვის საზაფხულო ბანაკში მონაწილეობაზე უარის თქმა და რა იყო აღნიშნული უარის მიზეზი. განმცხადებლის მითითებით, მოპასუხე მხარის მიერ ახსნა-განმარტება არც აღნიშნული კორესპონდენციის საპასუხოდ გაკეთებულა.

**ზეპირ მოსმენაზე დაფიქსირებული პოზიციები**

განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, 2020 წლის 8 მაისს გაიმართა ზეპირი მოსმენა, რომელზეც მოპასუხემ განაცხადა, რომ იგი ძირითად ნაწილში ადასტურებდა განმცხადებლის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. თუმცა, მისი მითითებით, შექმნილი მდგომარეობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ვერ მოხერხდა მოლაპარაკება კონკრეტულ საკითხზე. კერძოდ, მხარეთა შორის გამართული შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მ. კ.-ს ჰქონდა მოლოდინი, რომ დ. ფ.ე და მისი ბებია უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ ცალკე ოთახით. თუმცა, ი. უ.-მ მას აუხსნა, რომ ბანაკი ითვალისწინებდა ცალ-ცალკე საერთო სივრცეებს ბავშვებისთვის და მასწავლებლებისთვის. დ. ფ.-სა და მისი ბებუის ცალკე დაბინავების კუთხით ერთ-ერთ პრობლემად მოპასუხის მხრიდან დამატებითი ფინანსური ტვირთის გაღების შეუძლებლობა დასახელდა. მისი მითითებით, საკითხთან დაკავშირებით გამართული შეხვედრის დროს, მ. კ.-ს განემარტა, რომ ბავშვისა და ბებუის ცალკე ოთახში დაბინავება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ოთახის საფასურს განმცხადებელი გადაიხდიდა. ამ საკითხზე შეუთანხმებლობას მოჰყვა მ. კ.-ს გაღიზიანება, რის შემდეგაც შეხვედრა დატოვა. აღნიშნულის შემდეგ, ი. უ.-ს შეფასებით, თავად მ. კ.-ს მხრიდან არ არსებობდა მორიგების მზაობა, ვინაიდან მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს მხოლოდ სოციალური ქსელის საშუალებით მოპასუხის ლანძღვა და დასაბუთებული უარის მოთხოვნა წარმოადგენდა.

ზეპირი მოსმენის დროს მხარეთა მიერ დაზუსტა ის გარემოებაც, რომ დ. ფ.-ს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა დაგეგმილი იყო არასრული პერიოდით - 10 დღის ნაცვლად, 5 დღის ვადით. შესაბამისად, მისი მონაწილეობის საფასური შეადგენდა სრული თანხის (700 ლარი) ნახევარს, 350 ლარს. თანხის გადახდა კი, გათვალისწინებული იყო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო მომსახურების“ პროგრამით გათვალისწინებული 700-ლარიანი ვაუჩერით, რომელსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფდა. მ. კ. გამოთქვამდა მზაობას, ვაუჩერი სრულად გადაეცა სკოლისთვის, რის შედეგადაც დარჩენილი 350 ლარი მოხმარდებოდა დ. ფ.-ს თანხმლები პირისთვის აუცილებელი ხარჯების დაკმაყოფილებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ამ კუთხით გასაღებ დამატებით ფინანსურ ტვირთს. თუმცა, 2020 წლის 22 ივნისს მოპასუხემ წარმოადგინა დამატებითი წერილობითი პოზიცია, რომელშიც მიუთითებს: *მუხედავად იმისა დ. ფ. რამდენი დღით იქნებოდა წამოსული ვაუჩერის გადანაწილება შეუძლებელი იყო, ანუ მე ვერ მოვახერხებდი ვაუჩერის ნაწილი თანხის ათვისებას როგორც მითხრეს მერიის სამსახურში. შესაბამისად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს თუ რამდენი ხნით წამოვიდოდა დ. ფ. ბანაკში.*

### **მოპასუხის პოზიცია**

2020 წლის 18 მაისს შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ დირექტორმა ი. უ.-მ წარმოადგინა წერილობითი პოზიცია ზეპირ მოსმენაზე განხილული ფაქტების დაზუსტების მიზნით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას უარი არ უთქვამს დ. ფ.-ს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობაზე. მისი მითითებით, შესაბამისი ალტერნატივების

განხილვა შეუძლებელი აღმოჩნდა მ. კ.-ს დესტრუქციული დამოკიდებულების გამო, რომელმაც უარი განაცხადა სკოლის შეთავაზებაზე, ბებია განთავსებულიყო ბანაკთან მდებარე სასტუმროში და როდესაც შეიტყო, რომ ბავშვებისთვის იზოლირებული სივრცეები არ არსებობდა, აღშფოთებულმა დატოვა შეხვედრა. აღნიშნულის გამო, მხარის განმარტებით, შეხვედრაზე კონკრეტულ გაანგარიშებებზე ან დამატებით გადასახდელ თანხებზე საუბარი არ შემდგარა.

წერილში ხაზგასმულია, აგრეთვე, სხვადასხვა გარემოება იმის დასადასტურებლად, რომ მოპასუხე მოწადინებული იყო, დ. ფ. წაეყვანა ბანაკში, მათ შორის, სტანდარტულად შეთავაზებული სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციის გზით. კერძოდ, სკოლა თანახმა იყო, ბავშვი წაეყვანა თანმხლებ პირთან ერთად; სკოლა დათანხმდა მშობლის მიერ შეთავაზებულ საფასურის გადახდის საშუალებაზე ვაუჩერის სახით; შეთავაზებული იყო ბავშვისა და ბებიის განთავსება ახლომდებარე სასტუმროში, რა პირობითაც მოცემულ ბანაკში სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირიც იყო წასული და სხვ.<sup>1</sup> ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ, როგორც ზეპირ მოსმენაზე განიმარტა, სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ბებიის უზრუნველყოფა ღამის გასათევი ადგილით მოხდა ბავშვის ოჯახის ხარჯებით. აქვე, საგულისხმოა ზეპირი მოსმენის დროს მოპასუხის მიერ გაჟღერებული გარემოება, რომ იგი მზად იყო, მათ შორის, ფინანსურად უზრუნველყო დ. ფ.-სთვის სპეცმასწავლებლის დაქირავება.

მოკლე ტექსტურ შეტყობინებებთან დაკავშირებით, მოპასუხე მიუთითებს, რომ იგი მორიგების მომხრე იყო, იმ დროს ჯერ კიდევ არსებობდა მოლაპარაკების შესაძლებლობა, ვინაიდან ბანაკში წასვლამდე დრო დარჩენილი იყო, თუმცა კონსტრუქციული წინადადებების ნაცვლად, სკოლამ მიიღო ბრალდების შინაარსის ფეისბუქ პოსტები, შეტყობინებები და სხვ. რომ არა აღნიშნული, მხარის განმარტებით, იგი *დარწმუნებულია, რომ მოიძებნებოდა იმის რესურსიც, ბავშვი ბანაკში დამატებითი თანხის გადახდის გარეშე წასულიყო.*

## 2. სამართლებრივი შეფასება

### 2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.<sup>2</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კანონის წინაშე

<sup>1</sup> აღნიშნულის გარდა, მხარე მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომ დ. ფ.-ს მშობელს, ყველა სხვა მშობლის იდენტურად გაეგზავნა შეთავაზება ბანაკში შვილის გაგზავნასთან დაკავშირებით. ამასთან, შემთავაზებლისთვის ცნობილი იყო რომ იგი იყო შშმ პირი; და სკოლა დათანხმდა, რომ ბავშვი წამოეყვანა არა საერთო შეკრების ადგილიდან, არამედ მშობლის მიერ დასახელებული სხვა ქალაქიდან.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 1.

თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს - პირიქით.<sup>3</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ, გამოირიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნით მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

## ***2.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს***

როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უფლება, რომლით სარგებლობაშიც განმცხადებელს ხელი შეეშალა.

მოცემულ შემთხვევაში, საკითხი ერთდროულად რამდენიმე უფლებას უკავშირდება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საზაფხულო ბანაკი უმთავრესად საგანმანათლებლო მიზნებს ემსახურებოდა. საზაფხულო სკოლაში მოსწავლის მონაწილეობას საფუძვლად უნდა

---

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, ნაწ. II, პარ. 2.

დასდებოდა „ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ“. ხელშეკრულების ნიმუშით განისაზღვრებოდა სკოლის ვალდებულება, უზრუნველყო ხარისხიანი სწავლება, რაც გამოიხატებოდა სწავლის პროცესის ორგანიზებასა და მასწავლებლების კვალიფიციურობაში. ამასთან, ბანაკის შესახებ საინფორმაციო ელექტრონული წერილის მიხედვით, პროგრამა მოიცავდა, მათ შორის, შემეცნებით აქტივობებს. სწორედ შემეცნებითი და ზოგადინტელექტუალური მიმართულებები იყო ხაზგასმული საზაფხულო სკოლის პროგრამაშიც.

ამდენად, საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა ემსახურებოდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებული განათლების უფლების რეალიზაციას.<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: განათლება ხელს უწყობს ინდივიდს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, დამოუკიდებლად გაუძღვეს და მოაწიოს საკუთარი ცხოვრება; მისი საშუალებით ინდივიდები თავიანთი შესაძლებლობებით და უნარებით სწავლობენ თვითგანვითარებას; განათლების უფლების სრულყოფილ რეალიზაციაზე დამოკიდებული ადამიანის პიროვნული თავისუფლება, იმდენად, რამდენადაც შესაბამისი განათლების გარეშე ადამიანი რთულად თუ შეძლებს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებას.<sup>5</sup>

განათლების უფლება მოიცავს, როგორც ფორმალურ, ისე - არაფორმალურ განათლებას.<sup>6</sup> არაფორმალური განათლება განიმარტება როგორც ნებისმიერი ინსტიტუციონალიზებული, ორგანიზებული სწავლება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული, ოფიციალურად აღიარებული ფორმალური სისტემის მიღმა<sup>7</sup> და ფარავს პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობს მოზრდილთა და ახალგაზრდების წიგნიერებას, ისევე როგორც - ცხოვრებისეული უნარების გამომუშავებას და სოციალურ თუ კულტურულ განვითარებას.<sup>8</sup> მათ შორისაა ჯგუფები, სადაც ახალგაზრდების აქტივობები მოიცავს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, თამაშებს, დისკუსიას, ლაშქრობას და სხვ.<sup>9</sup> მსგავსი პროგრამები, ხშირად, ავსებს ფორმალური განათლების სექტორში არსებულ ხარვეზებს და მრავალფეროვანი საშუალებებით უფრო და

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 27; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, მუხ. 2; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხ. 13.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე: „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჯამოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 16-18.

<sup>6</sup> გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N13 (1999), განათლების უფლება (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლი), E/C.12/1999/10, 10.12.1999, პარ. 4.

<sup>7</sup> განათლების უფლებაზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში: განათლების უფლების რეალიზება არაფორმალური განათლების საშუალებით, A/HRC/35/24, 02.06.2017, პარ. 14.

<sup>8</sup> იხ. განმარტება იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<http://uis.unesco.org/en/glossary-term/non-formal-education>>.

<sup>9</sup> იხ. განმარტება ევროსაბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<https://www.coe.int/en/web/european-youth-foundation/definitions>>.

უფრო მეტი ადამიანისთვის უწყობს ხელს სწავლას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რის გამოც, ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზრდილების განათლებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვან და ღირებულ მეთოდს წარმოადგენს.<sup>10</sup> არაფორმალურ განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიური განათლების კონტექსტში, ვინაიდან მისი მოქნილი და კონკრეტულ კონტექსტზე ორიენტირებული პირობებიდან გამომდინარე, უკეთ შეუძლია უპასუხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს.<sup>11</sup>

დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებისთვის, რადგან ეს ემსახურება: პიროვნების პოტენციალის სრულ გამოვლენას, ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და ადამიანთა მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფას თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობით.<sup>12</sup> განათლების როლს ბავშვის პიროვნების, ნიჭის და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების სრული მოცულობით განვითარების პროცესში ხაზს უსვამს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 29-ე მუხლიც.

აღსანიშნავია, რომ განათლებისგან გარიყვის რისკი, სხვა ჯგუფებთან ერთად, მეტად ემუქრება აუტისტური სპექტრის მქონე პირებს.<sup>13</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, გარიყვაა როდესაც სტუდენტს პირდაპირ ან ირიბად ეთქმის უარი ან ემლება ხელი ნებისმიერი ფორმით განათლების წვდომაზე.<sup>14</sup> აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანად ჩართვასა და მონაწილეობას უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლება, რაც გულისხმობს მოდიფიკაციასა და ცვლილებებს შინაარსში, სასწავლო მეთოდებში, მიდგომებში, სტრუქტურებსა და სწავლების სტრატეგიებში, როგორც ფორმალურ, ისე - არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, რათა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი და კომბინირებული სასწავლო გამოცდილება და გარემო.<sup>15</sup> ამავდროულად, ეს გარემო საუკეთესოდ უნდა პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს.<sup>16</sup>

<sup>10</sup> განათლების უფლებაზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში: განათლების უფლების რეალიზება არაფორმალური განათლების საშუალებით, A/HRC/35/24, 02.06.2017, სამდივნოს შენიშვნა, პარ. 34, 90.

<sup>11</sup> იქვე, პარ. 40.

<sup>12</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 24.

<sup>13</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, CPRD/G/GC/4, 25.11.2016, პარ. 6.

<sup>14</sup> იქვე, პარ. 11.

<sup>15</sup> იქვე, პარ. 9-11.

<sup>16</sup> იქვე.

როგორც ზემოთ განხილული ნორმატიული შინაარსიდან დგინდება, განათლების უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან და პირის შესაძლებლობასთან, ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავის მხრივ, სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და გარე სამყაროსთან კავშირი პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროს მიეკუთვნება.<sup>17</sup> ამ კუთხით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ საზაფხულო ბანაკი შემეცნებითი ფოკუსის გარდა, მოიცავდა ჯანსაღი ცხოვრების წესის, კულტურულ, სოციალურ და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე ორიენტირებულ მიმართულებებს.<sup>18</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლით გარანტირებულია დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვის უფლება. მსგავსად, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 23-ე მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მის ღირსებას, ეხმარება საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვაში და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებაში. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის მისაწვდომი და ადაპტირებული სერვისების ნაკლებობა.<sup>19</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა მოიცავს წვდომას საზოგადოებისათვის შეთავაზებულ ყველა სერვისზე, რომელიც შეიძლება მიემართებოდეს, მათ შორის, ისეთ სფეროებს, როგორებიცაა განათლება და რეკრეაციული აქტივობები და ნებისმიერ აქტივობაზე, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს სურს მონაწილეობა.<sup>20</sup> მსგავსი წვდომის არარსებობა კი, თავის მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ქმნის არჩევანის ნაკლებობას, რის გამოც, ისინი ვერ ახორციელებენ არჩევანის უფლებას, რაც დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების მთავარ იდეას წარმოადგენს.<sup>21</sup> საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრების წინაპირობა ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ინდივიდუალური დახმარების სერვისებზე წვდომაა.<sup>22</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათ აქვთ მომსახურებებისა და მათი მიმწოდებლების შერჩევის უფლება პირადი მოთხოვნილებებისა და პრიორიტეტების

---

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“; ნაწ. II, პარ. 4; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *CASE OF P.G. AND J.H. v. THE UNITED KINGDOM*, პარ. 56.

<sup>18</sup> ბანაკის შესახებ საინფორმაციო ელექტრონული წერილი; საზაფხულო სკოლის პროგრამა.

<sup>19</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N5 (2017) დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის შესახებ, CPRD/G/GC/5, 27.10.2017, პარ. 15.

<sup>20</sup> იქვე, პარ. 16.

<sup>21</sup> პარ. 24-25.

<sup>22</sup> იქვე, პარ. 28.



შესაბამისად.<sup>23</sup> ამასთან, ინდივიდუალიზებული მხარდაჭერის კატეგორია მოიცავს, მათ შორის, ოჯახის წევრებსა თუ სხვა ნათესავებთან კონტაქტს.<sup>24</sup>

აღნიშნული განმარტებები ნათლად მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე და მოკიდებული ღირსების უფლების რეალიზებაც. ადამიანის ღირსებასთან კავშირში განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პიროვნული განვითარებისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უფლებებს, როგორც პირადი ცხოვრების უფლების კომპონენტებს.<sup>25</sup> მსგავს მიდგომას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.<sup>26</sup> ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი;<sup>27</sup> სწორედ ღირსების პატივისცემას ემყარება დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი.<sup>28</sup> აღნიშნულს შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრემბულაში ხაზგასმული აღიარება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო ნებისმიერი პიროვნების დისკრიმინაცია არის ადამიანის თანდაყოლილი და განუყოფელი ღირსების დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში, დ. ფ.-მ ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება საგანმანათლებლო, სოციალურ საზაფხულო სკოლაში, ვინაიდან იგი არ იყო უზრუნველყოფილი მისი საჭიროებების შესაბამისი თანხმლები დამხმარით მაშინ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე, უჭირს უცხო ადგილას მარტო ყოფნა, მათ შორის, ღამით. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ბავშვის განვითარების ინსტიტუტის რეკომენდაციის თანახმად, საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა დ. ფ.-ს ხელს შეუწყობდა, სხვა ბავშვებთან ერთად გაეფართოვებინა და განევითარებინა სოციალური უნარები, რაც აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის ძირითად სირთულეს წარმოადგენს. ამასთან, ის ისწავლიდა სოციალურად მისაღებ ქცევებს, რის შედეგადაც, გაუმჯობესდებოდა საზოგადოებაში ადაპტაციის პროცესი. ფიზიკური და გონებრივი აქტივობების შედეგად მიღებული გამოცდილებით კი, მას გაუადვილდებოდა ბრძოლა იმ გამოწვევებთან, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება. დოკუმენტში ბანაკი მოიაზრება, აგრეთვე, შესაძლებლობად, დ. ფ.-ს გაეუმჯობესებინა თვითმომსახურებისა და ყოველდღიური

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე, პარ. 29.

<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *CASE OF EL-MASRI v. THE FORMER YUGOSLAV REPUBLIC OF MACEDONIA*, პარ. 248.

<sup>26</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“; ნაწ. II, პარ. 4.

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“; ნაწ. II, პარ. 30.

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“; ნაწ. II, პარ. 1.

ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც მას დაეხმარებოდა, ყოფილიყო მაქსიმალურად დამოუკიდებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ფ.-ს ხელი შეეშალა განათლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრების, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვის უფლებებისა და ღირსების ხელშეუვალობის რეალიზებაში.

### **2.3. განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ თანაბარი მოპყრობა**

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.<sup>29</sup> შესაბამისად, უფლება, არ იყო დისკრიმინირებული ადამიანის გარანტირებული უფლებებით სარგებლობისას ირღვევა, მათ შორის, მაშინ, როდესაც, ლეგიტიმური მიზნისა და გონივრული გამართლების გარეშე, განსხვავებულად არ ეპყრობიან ადამიანებს, რომელთა სიტუაციებიც არსებითად განსხვავებულია.<sup>30</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობისადმი და მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეულ სიტუაციებში, სახელმწიფოებმა, დასაქმებულებმა და მომსახურების მიმწოდებლებმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან არსებული წესებისა და პრაქტიკის იმგვარად მოსარგებად, რომ შესაბამისი განსხვავებები გათვალისწინებული იყოს.<sup>31</sup>

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მიუთითებს მისი მხრიდან გადადგმულ გარკვეულ ნაბიჯებზე, რომლებიც სტანდარტულად შეთავაზებული სახელმწიფოებო პირობების შეცვლის გზით, დ. ფ.-ს ბანაკში მონაწილეობის უზრუნველყოფისკენ იყო მიმართული. თუმცა, ერთი მხრივ, მათი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე საჭიროებებს არ მიემართებოდა (მაგ. ბავშვის სხვა ქალაქიდან წაყვანა, ბანაკში მონაწილეობის საფასურის ვაუჩერის სახით გადახდა), მეორე მხრივ კი, ისინი არ აღმოჩნდა საკმარისი დ. ფ.-ს საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რაც გულისხმობდა მის თანმხლები პირით უზრუნველყოფას, მათ შორის, ღამით.

ამავდროულად, დ. ფ.-სთვის სპეცმასწავლებლის დაქირავების ან ქცევითი თერაპევტის დაბინავების კუთხით, გასათვალისწინებელია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით პროფესიულ რესურსს (ექთანი, ფსიქოლოგი) სკოლის მიერ ელ-ფოსტის მეშვეობით

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: *THLIMMENOS v. GREECE*, პარ. 44.

<sup>31</sup> ევროპული ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის სახელმძღვანელო, ევროკავშირის ოფისის გამომცემლობა, 2018, გვ. 69-70.

შეთავაზებული და პროგრამით განსაზღვრული სტანდარტული პირობები ისედაც ითვალისწინებდა. ამდენად, მზაობის მხოლოდ ამგვარ პირობებთან დაკავშირებით გამოხატვით, სკოლამ დ. ფ., ფაქტობრივად, თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა სხვა მოსწავლეებთან მიმართებით, როდესაც მის მიმართ განიხილავდა იმ შესაძლებლობის გამოყენებას, რომელიც ბანაკის მონაწილე ყველა ბავშვისთვის თანაბრად იყო ხელმისაწვდომი მაშინ, როცა დ. ფ.-ს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო მისდამი განსხვავებული მოპყრობა და მისი უზრუნველყოფა პირით, რომელიც მის თანხლებას ღამის განმავლობაშიც შეძლებდა.

ამ მხრივ, მხედველობაში ვერ იქნება მიღებული ბავშვისა და ბებიის ცალკე ოთახში დაბინავების შესაძლებლობის განხილვა იმ პირობით, თუ აღნიშნული ოთახის საფასურის გადახდა თავად დ. ფ.-ს მშობლის მიერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის ვალდებულება მოიცავს შშმ ადამიანებსა და მათთან ასოცირებულ პირებს, მათ შორის, შშმ ბავშვების მშობლებს.<sup>32</sup> მოცემული პირობით დ. ფ.-ს საჭიროებების დაკმაყოფილება კი, მის მშობელს აკისრებდა დამატებით ფინანსურ ტვირთს, რის შედეგადაც იგი, მისი შვილის შეზღუდული შესაძლებლობის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა სხვა ბავშვების მშობლებთან შედარებით. აღნიშნულს არ გამორიცხავს ის გარემოება, რომ ბანაკში ანალოგიური პირობით სხვა შშმ ბავშვიც იმყოფებოდა, ვინაიდან თანასწორობის იდეა ერთდროულად მოითხოვს არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ თანასწორ, არსებითად არათანასწორ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ კი - განსხვავებულ მოპყრობას. შესაბამისად, მსგავსი საჭიროებების მქონე პირთა მიმართ ანალოგიური მოპყრობა, ცალკე აღებული, ვერ უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპის დაცვას, თუ ისინი, ამავდროულად, სხვა, არათანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირებთან მიმართებით თანაბარი მოპყრობის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებულნი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას.

ამდენად, სახეზეა არსებითად უთანასწორო პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობა, რითიც დ. ფ. და მისი მშობელი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბანაკის მონაწილე სხვა ბავშვებთან და მათ მშობლებთან მიმართებით.

#### ***2.4. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება***

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, თანაბარი მოპყრობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება და გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

<sup>32</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 17.

ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის განმარტებით, მას უარი არ უთქვამს დ. ფ.-ს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობაზე. მისი მითითებით, შესაბამისი ალტერნატივების განხილვა შეუძლებელი აღმოჩნდა მ. კ.-ს დესტრუქციული დამოკიდებულების გამო, რომელმაც კონკრეტულ საკითხზე შეუთანხმებლობისას, აღმფოთებულმა დატოვა შეხვედრა.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ - ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა *დე ფაქტო* დისკრიმინაცია.<sup>33</sup> ამდენად, ის გარემოება, რომ შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ დირექტორს პირდაპირ არ უთქვამს უარი დ. ფ.-ს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობაზე და იგი, როგორც თავად მიუთითებს, მოწადინებული იყო ბავშვი წაეყვანა ბანაკში, თავისთავად, არ გამოირიცხავს მისი მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობას, ვინაიდან, რეალურად დამდგარი შედეგით დ. ფ.-ს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

ამგვარი ფაქტობრივი შედეგის განმაპირობებელი მიზეზების დასაბუთებულობის შემოწმებისთვის, მნიშვნელოვან სტანდარტებს ადგენს *გონივრული მისადაგების პრინციპი*. მართალია, დღეის მდგომარეობით, *უარი გონივრულ მისადაგებაზე*, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული არ არის, თუმცა, მისი ელემენტები წინამდებარე დოკუმენტში განხილული იქნება როგორც საშუალება, განსხვავებული მოპყრობის განუხორციელებლობის გამამართლებელი არგუმენტების გონივრულობის თვალსაჩინო შეფასების მიზნებისათვის.

### **გონივრული მისადაგების პრინციპი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას. შესაბამისად, კონვენცია ადგენს გონივრული მისადაგების

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 25.

უზრუნველყოფის ვალდებულებას თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით.<sup>34</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, გონივრული მისადაგება ინდივიდუალიზებული რეაქტიული ვალდებულებაა, რომელიც მოქმედებს მისადაგების მოთხოვნის მიღებიდან და იგი ვალდებულების მქონე პირს აკისრებს შშმ პირთან დიალოგის პასუხისმგებლობას.<sup>35</sup> მისადაგება გონივრულია, თუ აღწევს მიზანს, რომლისთვისაც შემუშავდა და შეესაბამება შშმ პირის მოთხოვნებს.<sup>36</sup> ამავდროულად, გონივრული მისადაგების მოთხოვნა მიმსადაგებელი მხარისათვის გადაჭარბებულ ან გაუმართლებელ სირთულეებს არ უნდა ქმნიდეს. აღნიშნულის განსასაზღვრად, აუცილებელია მიზნების, ანუ განსახილველი უფლებით სარგებლობისა და გამოყენებული საშუალებების პროპორციულობის შეფასება.<sup>37</sup> ამასთან, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ხარჯები ზოგადად შშმ პირებს არ უნდა დაეკისროთ.<sup>38</sup> დაბოლოს, გონივრულ მისადაგებაზე უარის ნებისმიერი დასაბუთება ობიექტურ კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს და შშმ პირს დროულად, შესაბამისი ანალიზის თანხლებით მიეწოდოს.<sup>39</sup>

მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის შეუთანხმებლობა იმ გარემოებამ წარმოშვა, რომ განმცხადებლისთვის შეთავაზებული ვარიანტი გულისხმობდა დ. ფ.-სა და მისი ბებულის ცალკე ოთახში განთავსებას იმ პირობით, რომ შესაბამის ხარჯებს დ. ფ.-ს მშობელი დაფარავდა. როგორც მოპასუხემ ზეპირი მოსმენისას განმარტა, მას არ შეეძლო აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დამატებითი ფინანსური ხარჯის გაღება. ამასთან, როგორც ზეპირ მოსმენაზე, ისე - წერილობით წარმოდგენილ პოზიციაში მოპასუხე მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თითოეული პირის საჭიროებები საგრძნობლად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რის გამოც, შეუძლებელია აქტივობის განმახორციელებელ პირს მოეთხოვოს კონტრაპენტის ყველა სურვილის წინასწარ გათვლა და დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, რადგან აღნიშნული აშკარად გადაძეგბულ ტვირთს აკისრებს მას.

თუმცა, განმცხადებლის მოთხოვნები, მის მიერ ბანაკის ორგანიზატორისთვის კონკრეტული პირობების უზრუნველყოფის მოთხოვნის წარდგენის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. სწორედ იმიტომ, რომ ორგანიზატორს, შესაძლოა, საზაფხულო სკოლის დაგეგმვისას ვერ გაეთვალა მონაწილეთა ყველა საჭიროება, განმცხადებელმა წინასწარ მოახდინა მისი ინფორმირება თავისი შვილის საჭიროებების თაობაზე. რაც შეეხება მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როგორც უკვე აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ხარჯების განმცხადებლისთვის დაკისრება, ერთი მხრივ, გაუმართლებელია იმის გამო, რომ

<sup>34</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, მუხ. 5, პუნ. 3.

<sup>35</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 24.

<sup>36</sup> იქვე, პარ. 25.

<sup>37</sup> იქვე, პარ. 26.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე, პარ. 27.

არათანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ - მსგავსი გადაწყვეტა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მშობელს საზაფხულო სკოლის მონაწილე სხვა ბავშვების მშობლებთან მიმართებით. ამასთან, დ. ფ.-ს ბანაკში მონაწილეობა წარმოადგენდა მისი განათლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრების, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვის უფლებებისა და ღირსების ხელშეუვალობის რეალიზების საშუალებას. შესაბამისად, ხარჯების მოპასუხის მხრიდან გაღების შემთხვევაში, ამ უკანასკნელისთვის წარმოშობილი სირთულეების პროპორციულობა სწორედ ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებასთან მიმართებით უნდა შეფასდეს.

ამ კუთხით, გასათვალისწინებელია ზეპირი მოსმენისას თანხის ვაუჩერით გადახდასთან დაკავშირებით გაჟღერებული გარემოებები, რომელთა თანახმადაც, სკოლას დ. ფ.-ს მშობლისგან უნდა მიეღო 700-ლარიანი ვაუჩერი, რომლითაც დაიფარებოდა როგორც მოსწავლის ბანაკში მონაწილეობის საფასური (350 ლარი), ასევე, დარჩენილი 350 ლარი მოხმარდებოდა დ. ფ.-ს თანხმლები პირისთვის აუცილებელი ხარჯების დაკმაყოფილებას. როგორც მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, აღნიშნული არ იყო საკმარისი დ. ფ.-სა და მისი ბებიისთვის ცალკე ოთახის გამოყოფისთვის. მოპასუხის მითითებით, მ. კ.-სთან შეხვედრისას კონკრეტულ გაანგარიშებებზე ან დამატებით გადასახდელ თანხებზე საუბარი არ შემდგარა. თუმცა, დამატებით გასაღები თანხის კონკრეტული მოცულობის მიუხედავად, ვაუჩერის ამ გზით გამოყენების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ამ კუთხით წარმოშობილი დამატებითი ფინანსური ტვირთი.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხის მიერ 2020 წლის 22 ივნისს დამატებით წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში მითითებული გარემოების შესაბამისად, ვაუჩერის გადანაწილება შეუძლებელი იქნებოდა მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხნით იქნებოდა დ. ფ. ბანაკში წასული, ვერ დადგინდება, რომ მოპასუხე გადაჭარბებული სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდა, ვინაიდან მოპასუხეს დ. ფ.-ს საერთო სივრცეში განთავსების საფასური ისედაც უნდა გადაეხადა. ზეპირი მოსმენისას და წერილობით წარმოდგენილ პოზიციაში კი, მან მიუთითა, რომ იგი მზად იყო, მათ შორის, ფინანსურად უზრუნველყოფო დ. ფ.-სთვის სპეცმასწავლებლის დაქირავება, რაც მიუთითებს, რომ მას ხელი მიუწვდებოდა დამატებით ფინანსურ რესურსზე, რომელიც, შესაძლოა, საკმარისიც კი ყოფილიყო ცალკე ოთახის უზრუნველყოფისთვის საჭირო დანაკლისის შესავსებად. ამასთან, მის მიერ 2020 წლის 18 მაისს წერილობით წარმოდგენილ პოზიციაში დაფიქსირებული განმარტების შესაბამისად, *„იარსებებდა ბევრი ალტერნატივა, რომელთა განხილვა მიგვიყვანდა ოპტიმალურ, ორივე მხარისათვის მისაღებ შედეგამდე. უკვე მომხდარ ფაქტთან მიმართებით ძნელია ისაუბრო იმაზე რა პერსპექტივა არსებობდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მოიძებნებოდა იმის რესურსიც, ბავშვი ბანაკში დამატებითი თანხის გადახდის გარეშე წასულიყო.“* ამდენად, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით არ დასტურდება, რომ დ. ფ.-ს საჭიროების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მას გადამეტებული ტვირთი დაეკისრებოდა, რაც

არაპროპორციული იქნებოდა დ. ფ.-ს ბანაკში მონაწილეობის უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილ სარგებელთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ, ამ კუთხით, მტკიცების ტვირთი ეკისრება სწორედ ვალდებულების მქონე პირს, რომელიც განაცხადებს, რომ მასზე დაკისრებული სირთულეები დაუძლეველი და გაუმართლებელია.

მოპასუხის მითითებით, იგი მ. კ.-სთან გამართული შეხვედრის შემდეგ, მორიგების მომხრე იყო, რა დროსაც ჯერ კიდევ არსებობდა მოლაპარაკების შესაძლებლობა, ვინაიდან ბანაკში წასვლამდე დრო დარჩენილი იყო, თუმცა კონსტრუქციული წინადადებების ნაცვლად, სკოლამ მიიღო ბრალდების შინაარსის ფეისბუქ პოსტები, შეტყობინებები და სხვ. აღნიშნული პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, განმცხადებელთან დიალოგის პასუხისმგებლობა, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა. *გონივრული მისადაგების პრინციპის* აღნიშნული სტანდარტი სრულად შეესაბამება ირიბი დისკრიმინაციის აკრძალვის არსს, რომლის ძალითაც, მათ შორის, კერძო სამართლის სუბიექტებს ეკისრებათ ვალდებულება, თავიანთი საქმიანობისას, არსებითად არათანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირებს მოეპყრონ განსხვავებულად.<sup>40</sup> ამდენად, სწორედ მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებაა, უზრუნველყოს მისი მომსახურების მიმღებ პირთა თანასწორობა, მათ შორის - შშმ პირთან დიალოგის წარმოების გზით, რათა გამოავლინოს და აღმოფხვრას ბარიერები, რომლებიც გავლენას ახდენს მის მიერ უფლებებით სარგებლობაზე.<sup>41</sup>

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქმის მასალებით არ დასტურდება, ი. უ.-ს მცდელობა, შეუთანხმებლობის წარმოშობის შემდეგ ეწარმოებინა დიალოგი მ. კ.-სთან. მას განმცხადებლისთვის ალტერნატიული შესაძლებლობები არ შეუთავაზებია, მაშინაც კი, როდესაც მისთვის, მ. კ.-ს ფეისბუქ პოსტის საშუალებით, ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა დ. ფ.-ს მიმართ იმგვარ მოპყრობას, რომელიც, აუტისტური სპექტრიდან გამომდინარე საჭიროებების გაუთვალისწინებლობის შედეგად, მას შესაძლებლობას ართმევდა, სხვა ბავშვების თანასწორად მიეღო მონაწილეობა საზაფხულო ბანაკში. მსგავსად, განმცხადებლის მხრიდან კომუნიკაციის პასუხად, რომლითაც მ. კ. დისკრიმინაციული მოპყრობის განმაპირობებელი მიზეზების ახსნა-განმარტებას ითხოვდა, შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ დირექტორის მიუთითებს: *ორივე ხომ ვაცნობიერებთ რომ ეს პასუხი გჭირდებათ მორიგი დისკრედიტაციისთვის და მორალური ტერორისთვის, აშკარად თქვენი მიზანი არაა მოვრიგდეთ, შესაბამისად მე აზრს ვერ ვხედავ რატომ უნდა დავხარჯო დრო პასუხზე. შესაბამისად უბრალოდ მითხარით რა უნდა ეწეროს წერილში და პირობას გაძლევთ მაგად დავაკოპირებ და ჩავწერ.* ხოლო, მ. კ.-ს მითითებაზე: *თქვენი პასუხი რაც არის ის მომწერეთ, ი. უ. პასუხობს: აუ კაი რა, მოდი არ გინდა ეს თამაში მართლა მაგრად მეზარება.* აღნიშნულთან დაკავშირებით, მოპასუხე ხაზს უსვამს: *ჩემი პასუხი იყო, რომ მისი მიზანი არ იყო მორიგება, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ არათუ არ გამოვრიცხავდი, არამედ*

<sup>40</sup> “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 3, მუხ. 2, პუნ. 3.

<sup>41</sup> გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 26.

მორიგების მომხრე ვიყავი. თუმცა, მისი მხრიდან ამ კუთხით კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.

ამასთან, განმცხადებლის მხრიდან მორიგების მზაობას არ გამოორიცხავდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მან მომხდარის მისეული აღქმა გამოაქვეყნა სოციალური ქსელის მეშვეობით და იგი ცდილობდა, მოპასუხისგან მიეღო დასაბუთებული უარი, რა დროსაც ეყრდნობოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფარგლებში დადგენილ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, შშმ პირს დროულად, შესაბამისი ანალიზის თანხლებით უნდა მიეწოდოს ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული დასაბუთება. მისი მხრიდან მორიგების მზაობის არარსებობას გამორიცხავს, აგრეთვე, სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით, მ. კ.-ს პოსტს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა „ნიუტონის თავისუფალი სკოლის“ დირექტორი გ. მ. (მგონი რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. მომწერეთ პიემში ნომერი და ხვალ ვისაუბროთ), რის შემდეგაც, განმცხადებელმა შეხვედრის დასაგეგმად მას საკონტაქტო ინფორმაცია გაუგზავნა. სახალხო დამცველი აღნიშნული შეხვედრის დეტალებს არ შეაფასებს, ვინაიდან, ი. უ. გამოორიცხავს გ. მ.-ს შემხებლობას შპს „ნიუტონის რობოტიკის სკოლის“ საზაფხულო ბანაკთან, თუმცა, შეხვედრის „ნიუტონის თავისუფალ სკოლაში“ გამართვისა და მის პოსტზე გ. მ.-ს მხრიდან გამოხმაურების ფაქტები, მ. კ.-ს აღნიშნულის საპირისპირო შთაბეჭდილებას უქმნიდა. შესაბამისად, მასთან შეხვედრის დაგეგმვა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა დრო საზაფხულო სკოლის დაწყებამდე, ადასტურებს მისი მხრიდან მოლაპარაკებების მზაობას.

ამდენად, მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც სახალხო დამცველს განმცხადებლის მიმართ წარმოშობილ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა.

### 3. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ დ. ფ.-ს მიმართ განახორციელა ირიბი დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20<sup>1</sup> მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო მოგმართავთ რეკომენდაციით:

მომავალში, ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, გაითვალისწინოთ თქვენ მიერ შეთავაზებული მომსახურების მიმღებ პირთა განსხვავებული საჭიროებები და მომსახურება განახორციელოთ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს თქვენი მომსახურებით თანასწორად სარგებლობის შესაძლებლობა.



გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,